

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის
სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები

2017-2018 სასწავლო წელი

ანა ბურჯანაძე - მუხლის წინა ჯვარედინა იოგის რეკონსტრუქციის შემდგომი ფიზიკური რეაბილიტაცია.

ხელმძღვანელი: მედიცინის დოქტორი, პროფესორი პავლე კასრაძე

ანოტაცია: ნაშრომში მოწოდებულია ინფორმაცია წინა ჯვარედინა იოგის შესახებ. კერძოდ, მისი აღმოჩენა, გავრცელების სტატისტიკა, დიაგნოსტიკა, კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის დროს გამოყენებული მეთოდები. იგი ორიენტირებულია წინა ჯვარედინა იოგის მკურნალობის განვითარების შესწავლაზე და შემდგომ მის რეაბილიტაციაზე. მწვავე პერიოდში სიმპტომები მოიცავს მუხლის სახსრის არეში დისკომფორტის შეგრძნებასა და ტკივილს, ადგილობრივ შეშუპებას და მოძრაობის შეზღუდვას, რამაც შეიძლება გააუარესოს პაციენტის ცხოვრების ხარისხი. სიმპტომების შემთხვევაში მნიშვნელოვანია შესაძლო რისკ-ფაქტორების გათვალისწინება და მათი მოდიფიცირების სათანადო ჩარევების უზრუნველყოფა, რაც განმეორებითი ეპიზოდების თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს.

თემის მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენდნენ იმ პირთა პრობლემები, რომლებსაც აღენიშნებოდათ მუხლის წინა ჯვარედინა იოგის დაზიანება, ჩატარებული ქონდათ რეკონსტრუქცია და სჭირდებოდათ შემდგომი რეაბილიტაცია.

კვლევის შედეგი: კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის შემდგომმა რეაბილიტაციამ გამოიღო სრული შედეგი, როგორც პაციენტისთვის ასევე რეაბილიტაციის გუნდში მომუშავე პირებისთვის, სპორტსმენი დაუბრუნდა სპორტულ მოღვაწეობას, ხოლო არა სპორტსმენმა შეძლო საზოგადოებაში აქტიური ცხოვრების გაგრძელება.

ჩატარებული კვლევით დადგინდა: რეგულარული და სწორად შერჩეული მკურნალობა. ადრეული ჩარევა, სწორი მიდგომა და ინდივიდუალური პროგრამა გვამღვს შედეგიანობის ამაღლებას.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამედიცინო ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგების, დასკვნების, რეკომენდაციების და ბიბლიოგრაფისგან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინა ჯვარედინა იოგის დაზიანება, ლახმანის ტესტი, პივოტ შრიფტის ტესტი, გამოწეული უჯრის ტესტი, წინა ჯვარედინა იოგის დაზიანების მართვა და რეაბილიტაცია.

ირაკლი ასლამაზაშვილი - სამედიცინო რეაბილიტაცია ბავშვთა და მოზარდთა
სკოლიოზების დროს.

ხელმძღვანელი: პავლე კასრაძე მედიცინის დოქტორი, პროფესორი

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია ბავშვთა და მოზარდთა სკოლიოზების გავრცელება საქართველოში და არა მარტო საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც, აქედან ჩანს, რომ ეს დაავადება საკმაოდ ხშირი პათოლოგიაა როგორც სკოლამდელ ასევე სკოლის პერიოდის ბავშვებისთვის, განსაკუთრებით გარდამავალ ასაკში, როცა იწყება ბავშვთა ინტენსიური ზრდის პროცესი და მას თან ახლავს ოცდამეერთე საუკუნისთვის დამახასიათებელი ჰიპოდინამია (ნაკლები ფიზიკური აქტივობა) რომელიც გამომდინარეობს ცხოვრების ელექტრიზაციიდან და უფრო მეტად მჯდომარე ცხოვრების წესიდან. აქედან გამომდინარე ძალზე **აქტუალურია** ბავშვთა და მოზარდთა ასაკში სწორი ორთოპედიული ჩვევების გამომუშავება (სწორი ჯდომა, სწორი დგომა, საწოლის სწორად შერჩევა, სკოლის მერხის სწორად მორგება) და ასე შემდეგ. ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში აღწერილია ამ დაავადების ფორმები, ხარისხი, მათი დიაგნოსტიკა მკურნალობის მეთოდები: ძირითადად სამკურნალო ვარჯიში, სამკურნალო პროცედურები და დამხმარე მეთოდები (ცურვა, აკუპუნქტურა) და სხვა. ამასთანავე განხილულია კონსერვატორული მკურნალობის ჩვენებები და ქირურგიული მკურნალობის ეტაპის დადგენა, სასიცოცხლო ჩვენების გამო. დაწვრილებით არის განხილული სამკურნალო ვარჯიშები, სამკურნალო მასაჟი, მათი ფორმები, საშუალებები და მეთოდები. ამასთან მოცემულია რჩევა დარიგებანი მშობლებისათვის რადგან მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ეს პათოლოგია როგორც ბავშვებში ისე მოზარდებშიც.